ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2520053

ნომერი: AR1388814

თარიღი : 23.03.2016

გაცემის თარიღი : 04.04.2016

გაცნობის თარიღი : 05.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 6 ; ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–2, მე–4, მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1388814 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკად.კოდი: 01.18.05.008.140) საზღვრების კორექტირებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობისგანხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, მდებარე კრწანისის რაიონი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკად.კოდი: 01.18.05.008.140)საზღვრების გეგმის კორექტირება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი).

ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.